გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება № 168

2022 წლის 9 სექტემბერი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 66.46.21.014.616) პირობიანი აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში 2022 წლის 8 აგვისტოს შემოსულია განცხადება (№ 19/2022220129-20), რომელშიც მოთხოვნილია, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ს/კ 66.46.21.014.616 მიწის ნაკვეთის აღნაგობის ფორმით გადაცემა. განცხადებაში აღნიშნულია, რომ მიწის ნაკვეთზე აშენდება კომერციული დანიშნულების ობიექტი, სადაც განხორციელდება არანაკლებ 200000 (ორასი ათასი) ლარის ინვესტიცია.

აუდიტორული კომპანია შპს „კომპაუდის'' - ს მიერ 2022 წლის 25 ივლისს N316-ქ ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 66.46.21.014.616, დაზუსტებული ფართობით - 3885.00 კვ.მ (მისამართი: გორის მუნიციპალიტეტის სოფელი კარალეთი) საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა: 308,000.00 (სამასრვა ათასი) ლარით.

გორის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი ზემოთ აღნიშნული უძრავი ქონების რაიმე დამატებითი დანიშნულებით გამოყენება, ხოლო მისი აღნაგობის ხელშეკრულებით გაცემის შემთხვევაში, გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი შეივსება შესაბამისი თანხით. გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, სოფ. კარალეთში არსებული 3885.00 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთი (ს/კ 66.46.21.014.616) პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით, გაცემული იქნას სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით, რისთვისაც საჭიროა „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და

ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად, განისაზღვროს ქონების საწყისი საპრივატიზებო ფასი და საწყისი ყოველწლიური ქირის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ და „დ.დ“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1.მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით გასცეს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3885.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ს/კ 66.46.21.014.616 მიწის ნაკვეთი (მდებარე სოფელ კარალეთში) სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით, 30 (ოცდაათი) წლის ვადით.
2. მიწის ნაკვეთის (ს/კ 66.46.21.014.616), ფართობით: 3885.00 კვ.მ, საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 308,000.00 (სამასრვა ათასი) ლარით.
3. საწყისი წლიური აღნაგობის საფასური განისაზღვროს 15600 (თხუთმეტიათას ექვსასი) ლარით.

4.აღნაგობის ფორმით გადაცემის ვადა განისაზღვროს 30 (ოცდაათი) წლის ვადით.

5. აუქციონის პირობად განისაზღვროს შემდეგი:

ა) მიწის ნაკვეთზე ს/კ 66.46.21.014.616 განხორციელდეს სულ ცოტა 200 000 (ორასი ათასი) ლარის ინვესტიცია. 2 (ორი) წლის გასვლის შემდეგ, აღნაგობის უფლების მქონემ, გორის მუნიციპალიტეტის მერიაში, წარმოადგინოს აუდიტის დასკვნა განხორციელებული ინვესტიციების ოდენობის შესახებ. აუდიტორის მომსახურების საზღაური გადაიხადოს „აღნაგობის უფლების მქონემ“.

ბ) შენობა აშენდეს და დანიშნულებისამებრ დაიწყოს ფუნქციონირება 2 (ორი) წლის ვადაში. მშენებლობის პროექტი შეთანხმებულ იქნას, გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობის და არქიტექტურის განყოფილებასთან. პროექტის შეთანხმებისას და მშენებლობის წარმოებისას გათვალისწინებული იყოს გამწვანების სივრცე.

გ) მიწის ნაკვეთზე ხაზოვანი ნაგებობის არსებობის შემთხვევაში, აღნაგობის უფლების მქონე პირზე გავრცელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, ხაზოვანი ნაგებობის დაცვის წესის შესახებ.

დ) მიწის ნაკვეთზე გადის კომპანიის ბალანსზე რიცხული D=315 მმ წყალსადენის ქსელი, რომლის გადატანაც დღეის მდგომარეობით შეუძლებელია. აღნაგობის უფლების რეგისტრაციის შემთხვევაში, აღნიშნული მილების შეუფერხებელი ექსპლუატაციის მიზნით, აუცილებელია სანიტარული ზოლის გამოყოფა სერვიტუტის უფლებით, მილის კედლიდან ორივე მხარეს 3-3 მეტრის დაშორებით. აუქციონის პირობას წარმოადგენს მიწის ნაკვეთის ზემოთ აღნიშნულ ნაწილზე (მილსადენის ექსპლუატაციისათვის საჭირო არეალზე) შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის'' სასარგებლოდ წარმოიშვას უსასყიდლო

სერვიტუტის უფლება, საჯარო რეესტრში აღნიშნული უფლების რეგისტრაციით, მილსადენის ექსპლუატაციის ვადით.

6. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

7. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, ს. ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე